KA030169187852520

№ 01-585 **23 / იანვარი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს, ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის
თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის N2433 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიბიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და FCG Prodacapo Finland Oy-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (იხ. დანართი), რომლის მიზანს წარმოადგენდა NordDRG Grouper პროგრამული გადაწყვეტილების (2018-2022 წლებისთვის) ლიცენზიის შესყიდვა, რომელიც მოიცავს შემდეგ პროგრამებს: 1. Prodacapo Grouper WEB (REST) API; 2. Prodacapo VisualDRG; 3. Prodacapo Batch Grouper). ხელშეკრულება მოქმედებს ოთხი წლის განმავლობაში და მისი საერთო ღირებულება შეადგენს 120300 (ას ოცი ათას სამასი) ევროს დღგ-ის გარეშე. ყოველწლიური გადასახადი შეადგენს - 29625 (ოცდაცხრა ათას ექვსას ოცდახუთი) ევროს.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის N10 დადგენილებით დამტკიცებული სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამაში გათვალისწინებული იყო NordDRG Grouper-პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვისა და დამატებითი ღირებულების გადასახადი - 121 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის N397 16.08.2019).

2019 წლის სექტემბერში დაიწყო NordDRG Grouper პროგრამული უზრუნველყოფის პილოტირება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების მიერ შემთხვევათა რეგისტრაციის მოდულში ატვირთული მონაცემების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების ფორმირების მიზნით. პილოტირების ეტაპზე წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების შესახებ ეცნობა "მიმწოდებელს" - Prodacapo Finland Oy-ს და პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მათი გადაჭრის სამუშაოები "მიმწოდებელთან" ერთად, რომელიც ვერ დასრულდა დეკემბრის ბოლოს. ამიტომ "შემსყიდველმა" - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ვერ განახორციელა 2019 წლის ბოლოს ყოველწლიური გადასახადის - 29625 ევროს გადარიცხვა.

ლიცენზიის გამოყენების უფლების გაგრძელების მიზნით, საჭიროა "სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N653 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და დაემატოს NordDRG Grouper-პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და დამატებული ღირებულების გადასახადი როგორც 2019 წლისთვის, ისე 2020 წლისთვის - 59250 ევროს ექვივალენტი ლარებში და შესაბამისი დღგ.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას აღნიშნულთან დაკავშირებით. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს (იურიდიული დეპარტამენტი, ადმინისტრაცია) საჭირო პროცედურების წარმოება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია